საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №208
2024 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს N257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე გამავალ საერთო სარგებლობის სარკინიგზო ლიანდაგზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა ხორციელდება გამგზავნი საბაჟო ორგანოს/საბაჟო საწყობის მიერ გამოწერილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით/რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით.“.

2. „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20) მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ტრანზიტის პროცედურის მფლობელს, რომელიც აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, აქვს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებებით ნიშანდების უფლება.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ტრანზიტის პროცედურის მფლობელის მიერ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე ნიშანდების განხორციელების შემთხვევაში, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი მონაცემების დაფიქსირება „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ რეგისტრირებულ ტრანზიტის დეკლარაციაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი კაკაურიძე**